

აკირის მთავარი მიზნუბები

28 აპრილისა და 4 მაისის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- გასული კვირის მთავარი თემა კვლავ ანტიდისკრიმინაციული კანონი იყო, რა დროსაც ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციული გამოწვევები მეტწილად სასულიერო პირების, მათ შორის კათოლიკოს პატრიარქის, ასევე არასაპარლამენტო ოპიზიციის, ჟურნალისტებისა თუ სხვა რესპონდენტების მხრიდან კეთდებოდა; ამ კონტექსტში იმატა კრიტიკამ "ქართული ოცნების", განსაკუთრებით რესპუბლიკური პარტიის და ყოფილი პრემიერ-

მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ხოლო არასაპარლამენტო ოპიზიცია (ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული მოძრაობა) კანონის მიღების საკითხს და ჰომოსექსუალობას ინცესტის ლეგალიზაციასთან დაუსაბუთებლად აიგივებდა;

- სიძულვილის ენას როგორც ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების (ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი), ასევე მიხეილ სააკაშვილის მიმართ ("ასავალ-დასავალი") ჰქონდა ადგილი;

გაგრძელება გვ. 2

11, 28 აპრილი - 4 მაისი



რეაზირება

1 მაისი

MDF, GDI და TDI-ის განცხადება კრიმინალური ფაქტის ქსენოფობიურ კონტექსტში გაშუქების გამო



გვინდა შემფოთება გამოვხატოთ 29 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის 8 საათიან "მოამბეში" გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც არასრულწლოვანის მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე ექვმიტანილი ერაყის მოქალაქის დაკავებას შეეხება.

ვთვლით, რომ ერთი კრიმინალური ფაქტის მთელ ჯგუფთან გაიგივება, მით უფრო ზოგადად უმცირესობებთან, ყოვლად დაუშვებელია და წარმოადგენს მაუწყებელთა ქვევის კოდექსის 33-ე (1) მუხლის დარღვევას, რომლის თანახმადაც, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლებას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

გაგრძელება გვ. 10

შინაარსი

ანტიდისკრიმინაციული კანონი	3
სიძულვილის ენა	6
ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია	7
თურქოფობია	7
ანტიდასავლური განწყობები	8
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია	8
სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია	9

კვირის მთავარი მიზნები

დასაწყისი გვ. 1

- ხდებოდა კრიმინალური და სხვადასხვა სოციალური პრობლემების დაუსაბუთებელი დაკავშირება ეთნიკურ კუთვნილებასთან და ზოგადად უმცირესობებთან. საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში (28 აპრილი) სექსუალური ძალადობის ფაქტი არა მხოლოდ ეთნიკურ ჯგუფთან, არამედ ზოგადად უმცირესობებთან ნეგატიურ კონტექსტში იყო დაკავშირებული; ხოლო გაზეთ "რეზონანსში" (30 აპრილი) მათხოვრობის პრობლემა - აზერბაიჯანელებთან და ზოგადად ემიგრანტებთან. მიუხედავად იმისა, რომ სტატიის საშინაო ანგარიშები იყო აღნიშნული, რომ სოციალური პრობლემების გამო საქართველოში ადგილობრივებიც მათხოვრობენ, სტატიის სათაური "საქართველო ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა" აღნიშნული პრობლემის განზოგადებას მხოლოდ ემიგრანტებზე ახდენდა;
- სასულიერო პირი (დავით ქვლივიძე) თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ოკუპანტ სახელმწიფოებზე წარმოჩენას ახდენდა;
- ანტიდასავლური განწყობები პოლიტიკური თანამდებობის პირის (დიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი), ასევე სხვა რესპონდენტების მხრიდან იყო გამოხატული; ხდებოდა დასავლეთის, როგორც მართლმადიდებლობასთან მებრძოლი სამყაროს წარმოჩენა (საქინფორმი, ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი);
- სასულიერო პირის მხრიდან (ვახტანგ დავითაშვილი) კათოლიკეების ინკვიზიტორებად, ხოლო "ობიექტივის" წამყვანის მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების სექტანტებად წარმოჩენა ხდებოდა; ხოლო გაზეთი "ალია" რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრირების და სახელმწიფო დაფინანსების უფლებას დისკრიმინაციულ კონტექსტში განიხილავდა;
- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას სასულიერო პირებთან, არასაპარლამენტო ოპოზიციასთან, საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან ერთად მმართველი პარტიის წარმომადგენელი (ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება) ახდენდა.

პოზიტიური გაშუქების მაგალითები:

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საქართველოში მცხოვრები უცხოელი სტუდენტების შესახებ სპეციალური ბლოგი მოამზადა (4 მაისი);
- ნეტგაზეთმა და ინტერპრესნიუსმა (28 აპრილი) გააშუქეს ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის შესახებ გამოცემული ორენოვანი ბიულეტის პრეზენტაცია;
- ნეტგაზეთმა (29 აპრილი) გაანალიზა ფაქტები საქართველოს უახლოესი წარსულიდან, როდესაც საქართველოს საპატრიარქო აქტიურად ერეოდა საკანონმდებლო საქმიანობაში.

ანტიდისკრიმინაციული კანონი

პაპასნია, დღეს, 28 აპრილი

ილია მმორე, კათოლიკოს პატრიარქი:

“ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად. ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად.”

http://www.myvideo.ge/?video_id=2321308

ნეტგაზეთი, 29 აპრილი

ღვთისმეტყველები, დეკანოზი:

“ჩვენ არქარებული, დაუფიქრებელი ნაბიჯებით ევროპისკენ კი არ წავალთ, დამლისკენ წავალთ. ამ კანონით შეიძლება აფხაზები და ოსები საბოლოოდ დაკვარდნენ.”

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30862/.htm>

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 30 აპრილი

ღვთისმეტყველები, დეკანოზი:

„თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც საბავშვო ბაღში მამათმავალი პედაგოგი ეფერება თქვენ შვილს და რამეს რომ ეტყვი, დაგიჭერენ.“

<http://1tv.ge/news-view/68392>

რეპორტიორი, 29 აპრილი

ღვთისმეტყველები, დეკანოზი: „ეკლესია მოითხოვს - ჩვენთან იყოს შეთანხმებული ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც აკანონებს სოდომ-გომორის ცოდვას... ჩვენ ვართ უმრავლესობა და ხდება უმრავლესობის დისკრიმინაცია.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&tid=24721>

ალია, 1 მაისი


ელიზბარ ღიაკონიძე, დეკანოზი:

„ამ ქვეყანას ჰყავს გაუკუღმართებული ორიენტაციის პარლამენტი და ვისაც ეს სიტყვები ეწყინება, გამოვიდეს თუ ბიჭია ვაჟკაცურად დამხვდეს და დამელაპარაკოს.“

საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოამბე, 30 აპრილი

ღვთისმეტყველები, დეკანოზი:

„ეკლესიის წევრებს აქვთ უფლება, რომ საკუთარ ეპისკოპატს, სინოდს თხოვონ, რომ მოხდეს ამ



ადამიანების შეგონების სხვა ფორმის გამოყენება, რომ მოითხოვონ ანათემირების საკითხის დაყენება, თუკი ისინი ხელს მოაწერენ სიბილწის დაკანონებას.“

<http://1tv.ge/news-view/68392>

ოცნებები, ღამის სტუდია, 30 აპრილი

ღვთისმეტყველები, დეკანოზი:

„ეს არის ახალი ტერმინები, რომელიც არის შემოტანილი იმისთვის, რომ მოხდეს ნორმად ქცევა აი, იმ ბილწი, უზნეო ცხოვრების წესის, რომელსაც ქვია ჰომოსექსუალური ურთიერთობები. იგივე გენდერული იდენტობა და ა.შ.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2323705

ნეტგაზეთი, 30 აპრილი

ელიზბარ ღიაკონიძე, დეკანოზი:

“109 დეპუტატმა ამ კანონპროექტს როგორ დაუჭირა მხარი, ცალსახად ვგმობ, ხმლით ხელში ვგმობ.”

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30900/.htm>

კონსტანტინე ცაგარაიშვილი,

მღვდელი: „აუცილებელია, ერი და ბერი გავერთიანდეთ და ამ უზნეობის წინააღმდეგ აღვდგეთ.“

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30910/>

პირველი, 3 მაისი

თეოდორე ბიზნაძე, დეკანოზი:

„პროსტიტუცია თუ აკრძალულია, ამ კანონს რა ჰქვია სახელად - კაცის კაცზე დაქორწინებას რომ ქადაგებს?!“

http://pia.ge/show_internet_daijest_news.php?id=1161&lang=geo

გაგრძელება გვ. 4

ანტიდისკრიმინაციული კანონი

რეზონანსი, 30 აპრილი

ბიორგი რაზმაძე, დეკანოზი: „ეს არის უზუნოება და ვინც ხელს მოაწერს ამ კანონს, იცოდეთ, რომ უზუნო ადამიანები იქნება სულ ყველა... წადით სოდომ-გომორში, ნახეთ რა ხდება - დღესაც ცეცხლი უკიდია იმ მიწას... იმიტომ, რომ თქვენნაირი ხალხის ცოდვების გამო დაიწყო ეს ყველაფერი, ეს ბიბლიაში წერია და ჭკუით იყავით, თქვენ, ცოტა.“

http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=7&id_artc=20097

კავკასია, ღმეს, 1 მაისი

ბასილ ანთაძე, მღვდელმონაზონი: „ანტი-დისკრიმინაციული კანონით პარლამენტი თავის ხალხს სოდომ-გომორის ცოდვის ცეცხლში დაწვას უშზადებს. მასში სამი რამაა ჩადებული, ბავშვების და ახალგაზრდების გარყვნა, ქართველი ერის გადაგვარება, ეკლესიის და ყველა იმ პატიოსანი ნამდვილი მამაკაცის და ქალის დევნა, ვინც ამ სულის წარმწყმედელი ცოდვის წინააღმდეგ გამოვა.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2327359; http://www.myvideo.ge/?video_id=2327363

ოპიტივი, ღამის სტუდია,

30 აპრილი

ავთანდილ უნებიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: „ახლა ცისფერი კომისრების დიქტატი არის და ევროკავშირის კომისრებზეა საუბარი, ცისფერი კომისრები, მათი დიქტატია ზუსტად ამგვარი კანონების მიღების დროს.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2324586

მაესტრო, სუბიექტური აზრი, 2 მაისი

ნუკრი ქანთარია, ქართული

ოცნება:

„ჩვენ მივეცი არა ძალადობას, რომ არ ჩავწიხლოთ ცოდვილი ხალხი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს



ბოლო ოთხი სიტყვა, რომელმაც გამოიწვია გარკვეული დამაბულობა, რომ ეს არის ნორმალური, ეს რა თქმა უნდა, გადახრაა, ეს არის პათოლოგია“.

http://maestro.ge/menu_id/47/id/273/lang/1

რეზონანსი, 30 აპრილი

ივანე კილურაძე, განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:

„ერთი წუთით, რომ ვიყვე დაექვებული, რომ აქ ჩადებულია ჰომოსექსუალობის პროპაგანდა ან მსგავსი რამ, რა თქმა უნდა, არავის ხათრით ხმას არ მივცემდი“.

პირველი, 2 მაისი

ნინო ბურჯანაძე, დემოკრატიული

მოძრაობა:

„მე ვერასოდეს ვერ მივიღებ ჰომოსექსუალიზმის, ინცესტის დაკანონებას, ჩვენს ქვეყანაში ეს არის მიუღებელი, და თუ არჩევანი დგას ასე: ინცესტის მიღება, თუ დარჩენა იქ, სადაც ვართ, მე არ ვარ რუსეთში, მე ვარ საქართველოში, მე მინდა დავრჩე ჩემს ქვეყანაში. ვივლი ტრადიციების გზით პროგრესისაკენ, მაგრამ იმ პროგრესისაკენ, რომელიც არის ნორმალურ, ჯანსაღ, ადამიანურ ფსიქიკასთან შესაბამისობაში“.

http://pia.ge/show_news.php?id=12733&lang=geo

იველი, რეაქცია, 2 მაისი

ნინო ბურჯანაძე:

„ამ კანონში ხდება პრაქტიკულად არატრატიდიციული სექსუალური ურთიერთობების, როგორც ნორმა ისე ჩამოყალიბება...თუ ადამიანი ამის აფიშირებას არ აკეთებს,



გაგრძელება გვ. 5

ანტიდისკრიმინაციული კანონი

და ადამიანი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, მის ცხოვრებაში არავინ არ ჩაერევა, მაგრამ თუ ადამიანი ბავშვებს უხსნის იმას, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია ეს არის ნორმა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს ადამიანი აქ არ უნდა მუშაობდეს...

სანამ მე ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარე ე.წ. გვი ალუმები არ ტარდებოდა.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2329603

მაესტრო, სუბიექტური აზრი, 28 აპრილი

ღმობერი ლორთქიფანიძე, „ნიუ ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი: „სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი არის პირდაპირი პროპაგანდა, დაკანონება, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ზნეობრივ ინტერესებს“.

http://maestro.ge/menu_id/47/id/204/lang/1

„ჩვენ ხარკს ვიხდით ევროპის წინაშე, თუ ემშაკს უკმევთ ხარკს, გამაგებინეთ.“
<http://1tv.ge/news-view/68325>

იმედი, რეაქცია, 2 მაისი

გიორგი ასვლელიანი, ნიუ ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის: „გამოხატული სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში თავისი ქცევით, თავისი გამოხატული ამ ქცევით შესაძლებელია, ძალიან დიდ ალბათობით მოახდენს ზეგავლენას გარდატეხის ასაკში მყოფ მოზარდზე.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2329390

ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი

გიორგი ასვლელიანი: „ჩვენ დავინახეთ, რომ დღევანდელი ფსევდოლიბერალური აზროვნების ხელისუფლება აკანონებს გარყვნილებას, როგორც ნორმას“.

<http://www.interpressnews.ge/ge/politika/279618-giorgi-akhvlediani-khelisufleba-gvikanonebs-sodomisa-dagomoris-aghiarebas.html?ar=A>

ალია, 1 მაისი

ვალერი გელბასიანი, ყოფილი

პარლამენტარი: „...თუ დანარჩენი საკითხი არის დისკრიმინაციული, მაშინ მიმიფურთხები სექსუალური ორიენტაციისთვის, როგორც მთავარი ღირებულებისთვის“.

რეპორტიორი, 28 აპრილი

ჯონდი ბაღათურია, ქართული დასი:

„ერთი ხმა მაინც ყოფილიყო ცისფერი დიქტატურის დამყარების წინააღმდეგი, საქართველო ხომ ისეთი არაა, როგორც მისი პარლამენტი“.
<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=24574>

ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი

ალექსანდრე შალამბერიძე, თავისუფალი საქართველო:

„სრულიად უსუსურია და ემსახურება არა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას, არამედ ერთსქესიანთა აღვირახსნილობის ლეგალიზაციას.“

<http://www.interpressnews.ge/ge/politika/279631-aleqsandre-shalamberidze-patriarqistkhkhovna-ignorirebuli.html?ar=A>

საზოგადოებრივი გაუფხვაველი, მოაგბე, 30 აპრილი

შალვა ნათელაშვილი, ლიბერალური პარტიის ლიდერი:

„მილიონერმა დიქტატორმა ხალხის არა, მაგრამ ცისფერთა ოცნება აღასრულა. მე მოვუწოდებ უმრავლესობის წარმომადგენლებს, თუ შერჩენიათ ღირსება და ზნეობა, დაბლოკონ ამ კანონის მიღება და დატოვონ სამარცხვინო უმრავლესობის რიგები.“

<http://1tv.ge/news-view/68392>

მაესტრო, ასლი 9-ზე, 1 მაისი

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი: „ეს არის დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში აღვივებს მევექილეობას, მომჩივანობას... ეს კანონი პირდაპირ ურტყამს ზნეობრივ საფუძვლებს ჩვენს ქვეყანაში. იგი ამბობს, რომ აწი ყველაფერი უნდა გადაწყდეს სასამართლოში.“

...უმცირესობების, პერვერტების, მამათმავლების გაიგივება სხვა სახის უმცირესობებთან არის დასავლური აგრესიული ლიბერალიზმის უახლესი ფანდი... არატრადიციული ორიენტაცია კი არის შეგნებული არჩევანი ცოდვისა.“

www.maestro.ge/menu_id/67/id/434/lang/1

გაგრძელება გვ. 6



ლევან ვასაძე,

ბიზნესმენი:

„უმცირესობების, პერვერტების, მამათმავლების გაიგივება სხვა სახის უმცირესობებთან არის დასავლური აგრესიული ლიბერალიზმის უახლესი ფანდი“.

ანტიდისკრიმინაციული კანონი

დასაწყისი გვ. 5

ღმეონანსი, 3 მაისი

გაშა ოთარაშვილი: “ეს ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და სამარცხვინოდ შევა ქართული პარლამენტის ისტორიაში.“

ნუზარ კვაშალი, მსახიობი: “ამ კანონპროექტით თუ ჰომოსექსუალების უფლებები უნდა დაიცვან, ამ შემთხვევაში, ჩემი უფლებები ილახება.“

პაპასია, სემქრი, 2 მაისი

ღმეურ გიორგელიძე, ექსპერტი: „...სულში, როცა ადამიანი პედერასტია, იმას არაფერი არ ეშველება... თუ დისკრიმინაციულ პოლიტიკას არ ატარებს ხელისუფლება, რისი კანონებია, რისთვის აკეთებ ამას, ლოგიკა რაშია?“
http://www.myvideo.ge/?video_id=2325621

პირველი, 2 მაისი

გელა ნიკოლეიშვილი, ადვოკატი: “ამ კანონიდან გამომდინარეობს, რომ ამ საზოგადოებას თუ ერთსქესიანი ქორწინების საშუალება არ მიეცით, მაშინ ისინი დისკრიმინირებულ მდგომარეობაში იქნებიან“.

http://pia.ge/show_news.php?id=12645&lang=geo

პაპასია, სემქრი, 30 აპრილი

გაშა აბაკელია, სამართლის პროფესორი: „გამოვიდა ამერიკის ელჩი და პირდაპირ ამბობს, რომ თქვენო მხარი უნდა დაუჭიროთ... კი მაგრამ ვინ კითხავს ამერიკის ელჩს მე მხარს რას დავუჭერ,“

რომელ საკანონმდებლო ნორმას?.. რა კოლბინია თუ ცეკას მეორე მდივანი?“

http://www.myvideo.ge/?video_id=2325293

რუსთავი 2, კოსტსპრიკაშვი, 4 მაისი

მაკატარინე აბრამიშვილი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი: „კაპიტულაცია, ქართველი ერის სახელით მოსული ქართული ოცნების, რომელშიც მან აქტიურობს რესპუბლიკური პარტია და დღეს ფაქტიურად ჩვენ ვხედავთ მამათმავლობის დაკანონების მცდელობას.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2328136

ოზიშვიტი, ლამის სტუდია, 2 მაისი

მაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: „ჩვენ ნათლად დავინახეთ, როგორ მოხდა ანტიდისკრიმინაციული კანონით საქართველოს მოსახლეობის დისკრიმინაცია ლგბტ და მსოფლიო ჰომოსექსუალების მეშვეობით. როგორ არის ესა ანტიდისკრიმინაციული კანონი, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დისკრიმინაცია ხდება ამ კანონით?“

<http://www.obieqivi.net/tv1.php?id=16780>

იმედი, რეაქცია, 2 მაისი

რესპოდენტი აუდიტორიიდან: „და თუ მაინდამაინც ასოცირების ხელშეკრულება არის ამ კანონპროექტის მთავარი შემომტანი ძალა, მაშინ ვთქვათ იქნებ უარი ამ ასოცირებაზეც ბოლოს და ბოლოს.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2329596

სიკუპვილის ქნა

ალია, 29 აპრილი

მლიზბარ ღიაკონიძე, დიაკონი: „...ყოველთვის გავაკრიტიკებ იმ ტვინგაყინულ გვამთა ერთობას, ვისაც ჰქვია "ოცნება" და "ნაცები" ერთად, მეტს თქვენ არ იმსახურებთ, იმიტომ, რომ ჩემი ქვეყნის დაცვამა გინდათ“.

ასავალ-დასავალი, 28 აპრილი – 4 მაისი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: „დიახ, ახლა სააკაშვილისთვის „გაგორება“ ბაირამობა იქნება! ახლა

საკაშვილი ვინმემ რომ „გაგოროს“, მას ყველა ცოდვასა და დანაშაულს ჩამორეცხავს!“

ეთნიკური წარმომავლობის დაუსაბუთებელი მითითება

ასაკალ-დასაკალი, 28 აპრილი – 4 მაისი

ბიორბი ბიბაური ჟურნალისტი: „დაახ, ის კვიციანია, შენ კი - სააკაშვილი! ის ქართველი კაცია, შენ კი არც ქართველი ხარ და არც სომეხი!“

ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

საზოგადოებრივი გაუფხუბელი, მოამბე, 29 აპრილი

მარინა მარკოზიშვილი, მოქალაქე: „თავს ძალიან დაცულად გრძნობენ ჩემსავე ქვეყანაში, ვიდრე მე ვგრძნობ და ასე მგონია, ძალიან უკონტროლოდ ხდება ამდენი უცხოელის შემოდინება და საერთოდ მერე რითი კავდებიან?... მათი საქმიანობა...“

<http://1tv.ge/news-view/68324>

რეზონანსი, 30 აპრილი

სათაური: "საქართველო ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა".

რესკოლმენტი: "მათხოვრობენ როგორც ქართველები, ასევე ბოშები და ბოლო პერიოდში აზერბაიჯანლებიც მომრავლდნენ... ისინი აქ სამათხოვროდ სწორედ აზერბაიჯანიდან ჩამოდიან..."

ელზა წიკლაური, ჟურნალისტი: აქედან გამომდინარე, საქართველო თანდათან ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა. მათ წინააღმდეგ რაიმე კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ჯერ არ არის."



ელზა წიკლაური, ჟურნალისტი: "აქედან გამომდინარე, საქართველო თანდათან ემიგრანტი მათხოვრების თავშესაფრად იქცა. მათ წინააღმდეგ რაიმე კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ჯერ არ არის."

თურქოფობია

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 30 აპრილი

ბიორბი რაჟმაძე, დეკანოზი: „ახლა ნახე, რა დაიწყეს?“

თურქული სერიალების ჩვენება და იქ პირდაპირ თუ ამჩნევთ უღმერთოები ქრისტიანებს მოგვმართავენ თურქები, უღმერთოები, უკვე ღმერთსაც გვავეიწყებენ.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2324612



თურქეთის და აზერბაიჯანის, როგორც ოკუპანტის წარმოჩენა

ნებგაზეთი, 29 აპრილი

დავით ქვლივიძე, დეკანოზი: "ტაო კლარჯეთში დღეს ქართულად წირვას რომ გვიშლიან დაგვიჭერენ, ოკუპირებულია. მარტო აფხაზეთი არ არის ოკუპირებული და მარტო რუსები არ არიან ოკუპანტები. ტაო-კლარჯეთი საქართველო იყო. კახში, ბელაქანში წირვას ვერ ვატარებთ. ჩვენი უნიათობის ბრალია და ღმერთი რომ დავეიწყეთ, იმის ბრალია."

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/30862/htm>

ანტიდასავლური განწყობები

რეზონანსი, 3 მაისი



დიგა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებ-ისა და კულტურის მინისტრი: “ვაჟა-

ფშაველას ქალის და მამა-კაცის სიყვარულზე დაუწერია და ბეთხოვენს მუსიკა შეუქმნია ამაზე. რად მინდა ნატო და ევროპისკენ სწრაფვა, თუ ამას დაკარგავს სახელმწიფო?”

საქინფორმი, 28 აპრილი

„სწორედ მართლმადიდებლობა, რომელიც, ბილდტის აზრით, ისლამურ ფუნდამენტალიზმზე სახიფათოა, წარმოადგენს მთავარ საფრთხეს დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ცდილობს ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ წახალისებს გეებსა და ტრანსგენდერებს.“

http://saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18669:2014-04-28-14-52-58&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz30GYpd5Nj

აღია, 1 მაისი

ელიზბარ დიაკონიძე, დიაკონი: „კი,

მართლმადიდებლობაო ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო საშიში რელიგიააო და ამნაირ ევროპაში უნდა ამათ ჩვენი შეყვანა?“

ასავალ-დასავალი, 28 აპრილი – 4 მაისი

დიტო ჩუბინიძე, ჟურნალისტი: "როგორც დასავლეთის მიერ მოტყუებული, მიტოვებული და „გადაგდებული“ ზვიად გამსახურდია და მისი თავისუფალი საქართველო მიუგდეს ჯორჯ ბუშმა (უფროსმა), ჯეიმს ბეიკერმა და ჰანს-დიტრიხ გენშერმა რუსეთს საჯიჯგნად, 700 წლის წინათ გიორგი ბრწყინვალესაც ევროპელთა ორპირობა აშინებდა და ეჭვის ჭია გულს უღრღნიდა - „მტანჯველ ომში მარტო დამტოვეთო!“

ბაგასია, სამხტრი, 30 აპრილი

ვაჟა აბაკმელია, სამართლის პროფესორი:

„ეხლა გამოვიდა, რომ მაინც და მაინც ამ ევროპულ ღირებულებებში, რატომღაც ჩაითვალა ეს რაღაც (ჰომოსექსუალიზმი) არაქართული და არაკაცური.“

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია

ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 30 აპრილი

პასტანგ დავითაშვილი, მღვდელი: „არა ბატონო, არასდროს ეკლესია არავის არ დევნის, ეს მათ მოიკითხონ კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც დანთებული იყო ინკვიზიციის ცეცხლი.“

www.myvideo.ge/?video_id=2324577

დავით ისაკაძე, დეკანოზი: „აი თუ დააკვირდებით არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არასდროს არ უჭერდა მხარს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ყველა არის მისი წინააღმდეგი. იმიტომ, რომ აქ არის ფული ჩადებული იმისათვის რომ..“

ბონდო მინარაშვილი, წამყვანი: სექტანტების მხარდასაჭერად“...

http://www.myvideo.ge/?video_id=2324605

აღია, 30 აპრილი

შანა ასანაძე, ჟურნალისტი: „ამ 2-3 წლის წინათ რელიგიის შესახებ კანონს რომ იღებდნენ, მაშინაც ამბობდნენ არა, კაცო ეს საფრთხის მომტანი არააო, ახლა კი თურმე იმის გამო რომ ყველა კონფესია გაუთანაბრდა მართლმადიდებლობას, ისინი უნდა დაფინანსდნენ ჩვენი ბიუჯეტიდან ანუ ხვალ ზეგ იმ სექსუალურ უმცირესობასთანაც შეიძლება დაგვიწესდეს ვალდებულება?“

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

საზოგადოებრივი მაუწყებელი,
მოამბე, 29 აპრილი

ზაზა პაპუაშვილი, ქართული ოცნება:



„...როდესაც ითხოვენ აი, ეს ადამიანები, რაღაცის ჩატარებას, ადღუმების თუ რაღაცის, ვხუმრობდი კიდეცა ეხლა ჯანმრთელმა მამაკაცებმა რომ მოინდომონ რუსთაველზე სექსუალური აქტით გასვლა და გამოსვლა, სადამდე

მივალთ? მერე ვიღაცას ექნება ყბაყურის პრობლემა, ყბაყურისტები შეიკრიბებიან და აღარ დამთავრდება ეს ადღუმები... ის ადამიანები ნუ შეურაცხყოფენ საზოგადოებრივ აზრს, ნუ იძალადებენ“.

<http://ltv.ge/news-view/68325>

ინტერპრესნიუსი, 29 აპრილი

ზაზა პაპუაშვილი: "სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს, თავში ქვა უხლიათ. მივმართავ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს, დაიცვან იმ ქვეყნის ინტერესები, სადაც ცხოვრობენ“.

<http://www.interpressnews.ge/ge/politika/279687-zaza-papushvili-mivmarthav-aratradiculi-seqsualuri-orientacii-adamianebs-daicvan-im-gveynis-interesebi-sadac-ckhovroben.html?ar=A>

კავკასია, ღამს, 29 აპრილი

ზაზა პაპუაშვილი: "ეგლა მაკლია, ვსდით ახლა ნებისმიერ გომოსექსუალისტებს და პადიუზდებთან თავში რაღაცა ვუბრაგუნო... მის დაკანონებას, პროპაგანდას არასოდეს არ დავუჭერ მხარს, მაგრამ რეალობას შევხედოთ, ასეთი ადამიანები ჩვენს გარშემო არსებობენ, ერთსქესიანთა ქორწინება იქნება თუ ბავშვების აყვანა იქნება, თუ რა იქნება და ასეთების პროპაგანდას შევეწირები"...

http://www.myvideo.ge/?video_id=2323430

იმედი, რეაქცია, 2 მაისი

ჯონლი ბალათური, ქართული დასი:

„რაც შეეხება ჰომოსექსუალიზმს, ეს არის ნორმიდან გადახვევა. გადახრა, ეს არის ანომალია.“

http://www.myvideo.ge/?video_id=2329388

საზოგადოებრივი მაუწყებელი,
მოამბე, 30 აპრილი

ჯონლი ბალათურია, ქართული დასი:

„მასობრივი გაუპატიურება პატიმრების და წამება, ყველა ამაში ჩართული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ჰომოსექსუალები. სხვა ამას კაცო არ აკეთებს უბრალოდ...“

<http://ltv.ge/news-view/68392>

კავკასია, ღამს, 29 აპრილი

ჯონლი ბალათურია: „ინცესტი ნორმა? პედოფილია ან ნეკროფილია ნორმა? ეს არის გადახრა ნორმისაგან ხომ? ამიტომ ვიმსჯელოთ ისე რომ ნორმიდან გადახრილი ადამიანები, როგორც არის ან ნარკომანია, დამოკიდებულება ნარკოტიკზე ან სხვა რამეზე ან კიდეც იგივე სექსუალური გადახრა რომელიც ადამიანს აქვს“.

http://www.myvideo.ge/?video_id=2323430

რეზონანსი 3 მაისი

კახა კუპაშა, თავისუფალი საქართველო:

„სექსუალური ორიენტაცია ჰომოსექსუალიზმის გარდა მილიონ სხვა სიმანჯჯესაც გულისხმობს, მაგალითად, ნეკროფილია, პედოფილია და ა.შ. ეს კანონში განმარტებული არაა. იქ მხოლოდ „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ნათქვამი.“

ალი, 29 აპრილი

მლიზბარ ღიაკონიძე, დიაკონი:

„პარლამენტარები ხომ არ მეტყვიან, სექსუალურ უმცირესობებში ვინ შედის, მხოლოდ ლესბოსელი და მამათმავალი? და პედოფილი? ზოოფილი? ნეკროფილი? გერენტოფილი? მერე ამაში ყველა ეს „ფილი“ რომ შედის და მე პედოფილიას კონსტიტუციით რომ ვებრძვი, რასაც ყველა ქვეყნის კანონდებლობა სჯის, შენ რატომ უშვებ ასეთს სკოლაში და პატარა ბავშვთან? რამ შეაყვარათ ამათ პიდარასტები, გამარკვიეთ ხალხო? და არ უნდა გამოვიდეს ამის წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში?“

"მე რატომ უნდა ვიყო მადლიერი [ბიძინა ივანიშვილის], სამება რომ ამიშენა? სამაგიეროდ, სულს რატომ მინგრევს? მამათმავალი შეიძლება, შევიდეს ტაძარში? და ვიღას აუშენა ეს სამება?"

გაგრძელება გვ. 10

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

იგმდი, კანორაგა, 4 მაისი

ბერი ნიკოლოზი: „ის, რომ საქართველოში მამათმავლობა, ის რომ საქართველოში დედათმავლობა, ეს ლგბტ საზოგადოებარომ აქ იყოს ცალკე გამოყვანილი ამათი უფლებები... უფლებები არის ჯერ ჩვენი და მერე სხვისი. შარშან 17 მაისს გამოხატა ხალხმა თავისი პოზიცია. არ გვინდა.“
http://www.imedi.ge/index.php?pg=prs&id_pr=1

რეზონანსი, 1 მაისი

გიორგი შენგელაია, რეჟისორი: „ადამიანი არის ბიოლოგიური არსება, ზოგი იბადება ასეთი ნაკლით, ზოგი - ავადმყოფი, ზოგი კი ჯანმრთელი.“

ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 30 აპრილი

რეზო აბაშუკელი, პოეტი: „თუ პომა-დაწასმული ენას გამომიყოფს კუთხეში, ქუჩაში მე ამას ვერ მოვითმენ, ჩემი წარსულის გამო...“
http://www.myvideo.ge/?video_id=2324588

ალი, 30 აპრილი

რობერტ სტურუბა, რეჟისორი: „რა გსურთ, ეკლესიამ ჯვარი დაწეროს ერთი სქესის არსებებს?“

კავკასია, ღღმს, 1 მაისი

აძვირის მონაწილე უტიტროდ: „ისე უნდა ვიყოთ, რომ მართლმადიდებლურად გავზარდოთ ჩვენი შვილები, და არა სოდომ-“

გომორის ცოდვაში. ყოველ შემთხვევაში, ეს ხალხი საჭირო არ არის.“
http://www.myvideo.ge/?video_id=2327368

ასავალ-ღასავალი, 28 აპრილი – 4 მაისი

გიორგი გიგაური ჟურნალისტი: „მთავარი, რაც ამ ბეჟიტაშვილმა გვახარა, მაინც ის არის, რომ ამ ფილმის პერსონაჟები, უბრალოდ ქართველი პედერასტები კი არა, არამედ ძალიან კონკრეტულად, კახელი და მერე გრელი მესაჯდომეები ბრძანდებიან!.. ამით სურთ ხაზგასმულად შეურაცხყონ ეს ორი ძირძველი ქართული კუთხე!..“

არც 17 მაისს და არც 17 მაისის შემდეგ ამ პირდაპირი მნიშვნელობით პედერასტიამ არ უნდა გაიღალღოს საქართველოში!.. კინოთეატრ “რუსთაველში“ 17 მაისს ამ ფილმის ჩვენება არანაკლები პროვოკაციაა, ვიდრე შარშანდელი გეი-ალღუმის მცდელობა რუსთაველის გამზირზე!“

ასავალ-ღასავალი, 28 აპრილი – 4 მაისი

გიორგი გიგაური ჟურნალისტი: „ნიშნდობლივია, რომ ამ ყოველივეს მისი უწმინდესობა 17 მაისს _ ამ საერთაშორისო პედერასტიის დღესასწაულის წინ ამბობს! რადგან ვინ-ვინ და ილია მეორემ მშვენივრად უწყის, რა ეშმაკეული ცნობიერების აშკარა გამოხატულებაც არის ეს საჩვიდმეტმაისო სატანისტური ბილწი ვნებები!“

რეაგირება

1 მაისი

დასაწყისი გვ. 1

ანალოგიურ ნორმას ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ქვევის კოდექსიც, რომლის მე-15.1 მუხლი შემდეგ სტანდარტს აწესებს: "განასხვავეთ უმცირესობის ინდივიდუალური წარმომადგენლისა და ზოგადად მთელი უმცირესობის საქმიანობა. ნუ გაავივებთ ინდივიდს მთელ უმცირესობასთან." ასევე საყურადღებოა მე-15.2 მუხლი, რომლის თანახმად, უმცირესობის მიერ ჩადენილი დანაშაული არ უნდა გაშუქდეს ისეთი ფორმით, რომელიც "მედია პანიკის" სახელწოდებით არის ცნობილი.

ჟურნალისტი, ადგილობრივი მცხოვრებლების კომენტარების საფუძველზე, სარედაქციო ტექსტში ამ კონკრეტული ინციდენტის განზოგადებას ზოგადად უმცირესობებზე ახდენს, რითაც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთა მოძალადეებად წარმოჩენა ხდება. მსგავსს შეფასებას კიდევ უფრო ამძაფრებს თანმხლები შავკანიანთა ვიზუალური მასალა, რაც კადრში შემთხვევით მოხვედრილ ადამიანთა ძალადობრივ ქმედებასთან ასოცირებას იწვევს.

ნიკა მოლოდინაშვილი, ჟურნალისტი:

"ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ უმცირესობების უფლებების დარღვევის შიშით, მათ ეზოში შეკრებილი უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ხშირად ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევენ, შენიშვნასაც კი ვერ აძლევენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ ხშირ შემთხვევაში არა უმცირესობების, არამედ მათი უფლებები ირღვევა."

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33 (2) მუხლი, ასევე ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-15(1) მუხლი ავალდებულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითოს პირის იდენტობა, თუ ამას საკითხის გაშუქებისთვის არს-ეებითი მნიშვნელობა აქვს, რათა მისი ქმედებით ხელი არ შეუწყოს სტერეოტიპის ჩამოყალიბებას, რომ დანაშაულს ეთნიკურ წარმომავლობა-სთან ან გეოგრაფიულ კუთვნილებასთან რაიმე კავშირი აქვს. ამ თვალსაზრისით, ვთვლით, რომ იდენტურ ფაქტზე ტელეკომპანია "იმედ-ის" საინფორმაციო პროგრამა "ქრონიკის" მიერ მომზადებული სიუჟეტი (29 აპრილი) სამაგალითოა, რადგან კრიმინალური შემთხვევის არსი და განვითარებული მოვლენები ეთნიკური და მოქალაქეობრივი კუთვნილების გარეშეა გადმოცემული.

ამასთანავე ჩვენს შემფოთებას იწვევს ინტერნეტ-პორტალ "გურია ნიუსის" მიერ პოლიტიკატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირის, შოთა აფხაიძის სოციალურ ქსელებში გავრცელებულ სტატუსზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაცია "ერაყელი, რომელმაც არასრულწლოვანი გააუპატირვა, თავისუფალია?" (30 აპრილი), თითქოს სექსუალურ ძალადობაში ეჭვმიტანილი ერაყის მოქალაქის გათავისუფლება საქართველოში ამერიკის საელჩოს სამხედრო ატაშეს მოთხოვნით მოხდა. იმის მიუხედავად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ეჭვმიტანილის დაკავების ფაქტს არ ადასტურებს, მედია საშუალება მაინც ახდენს დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელებას, რაც არღვევს სამართლიანი და ობიექტური მედია გაშუქების პრინციპს - უზრუნველყოს ფაქტების სიზუსტე და არ დაუშვას ცრუ და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება.

ვთვლით, რომ მედია მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მსგავსი თემების გაშუქებას და არ მოახდინოს დაინტერესებული წყაროების მიერ გავრცელებული ცალმხრივი და გადაუმოწმებელი ინფორმაციების ტირაჟირება, რაც უცხოელების მიმართ სიძულვილს გააღვივებს.

დისკუსია “მრავალფეროვნების სკოლაში”

3 მაისს "მრავალფეროვნების სკოლის" სტუდენტები საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელს ელენე ხომტარიას შეხვდნენ. დისკუსიის თემა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია იყო.



